გაკვეთილის თემა	ი და ა ასო ბგერების გაცნობა
სწავლების საფეხური/კლასი	I
საგანი	ქართული
მოსწავლეთა რაოდენობა	14
გაკვეთილის მიზანი	✔ ი და ა აო-ბგერების გაცნობა; ✔ მეტყველების განვითარება; ✔ ლექსიკური მარაგის გამდიდრება; ✔ გრაფიკული ჩვევების ფორმირება;
ე.ს.გ. განსაზღვრული მისაღწევი შედეგი/ინდიკატორები	ქართ: I.1 ქართ: I.2 ქართ: I.4 ქართ: I.6
წინარე ცოდნა	✔ გამომუშავებული აქვთ საწყისი ფონოლოგიური უნარ-ჩვევები; ✔ შეუძლიათ სიტყვის დეკოდირება; ✔ გამომუშავებული აქვთ წიგნთან მუშაობის საწყისი ჩვევები;
მოსწავლეთა ორგანიზების ფორმები	✔ ინდივიდუალური; ✔ წყვილებში;
გაკვეთილზე გამოყენებული ძირითადი მეთოდები და აქტივობები:	✔ საუბარი ილუსტრაციის გარშემო; ✔ ხმამაღლა ფიქრი; ✔ ზეპირ სიტყვებში ბგერების იდენტიფიცირება; ✔ ზეპირი ტექსტის მიხედვით ილუსტრაციაზე მითითება და პირიქით; ✔ მე-კალამი ✔ საჩვენებელი კითხვა;
სასწავლო მასალა და რესურსები:	✔ ილუსტრაციები; ✔ დავალების ბარათები; ✔ ზღაპარი ,,ანბანეთის სამეფო'' ✔ კომპიუტერი;
გაკვეთილის მსვლელობა(სამფაზიანი მოდელის მიხედვით).	**I ფაზა** მასწავლებელი გაკვეთილს იწყებს ზღაპრით,, ანბანეთის სამეფო''.მოსწავლეებს აცნობს გაკვეთილის თემას და მიზანს. ილუსტრაციებზე დაკვირვებით, მოსწავლეები აქტივობა ,,მე კალამი'',-ს გამოყენებით ,მასწავლებლის დახმარებით ადგენენ მოთხრობას ,,ია''. მოთხრობის შექმნის დროს მასწავლებელი სვამს კითხვებს: ✔ რამდენი ბავშვია სურათზე ? ✔ 2 როგორი რიცხვია კენტი თუ ლუწი ? ✔ სად ხდება მოქმედება ? ✔ რა არის ბუნება და რამდენგვარია ის ?

	✔ დავასახელოთ ცოცხალი და არაცოცხალი ბუნების მაგალითები; შედგენილი მოთხრობიდან მასწავლებელი ირჩევს სიტყვებს და ბავშვები მარცვლიან ერთად. იხსენებენ დამარცვლის წესს. მოსწავლეები ასოციაციური რუკის დახმარებით ახასიათებენ იას. მასწავლებელი ბავშვებს ახსენებს გაკვეთილის მიზანს და ეკითხება სტუმრებს ,იმსახურებენ თუ არა ანბანის სამეფოში შებრძანებას? მასწავლებელი დაფაზე აკრავს წინასწარ მომზადებულ აპლიკაციას ქართული ასო-ბგერებით და ანაბანის სიმღერის თანხლებით. **II ფაზა** მასწავლებელი ეკითხება მოსწავლეებს: ✔ რა დაგვხდათ ანაბანის სამეფოში? ✔ რამდენი ასო-ბგერაა ქართულში? ✔ რამდენია ხმოვანი ? თანხმოვანი? ✔ როგორ გამოვსახავთ მათ გრაფიკულად ? ✔ ვინ შექმნა ქართული ანბანი ? ✔ რა იცით ფარნავაზის შესახებ? აჩვენებს მათ ფარნავაზის ფოტოს და ესაუბრება ქართული ანბანის განვითარების საფეხურებზე.ამის შემდეგ მასწავლებელი არკვევს რა იციან იაკობ გოგებაშვილის შესახებ და აჩვენებს მათ იაკობის სახლ-მუზეუმის ფოტოებს; უყვება მათ დედა ენის პირველი ასოების შექმნის ისტორიას ..მთელი კლასი ერთად ყვება ლექსს ,,იაკობ გოგებაშვილი'', ,,დედა ენა''. მასწავლებელი აჩვენებს მოსწავლეებს ი და ა ასო-ბგერებს და უხსნის მათ მოხაზულობას. დაფაზე გაკრული პოსტერზე მასწავლებელი საჩვენბლად კითხულობს ,,ია ''-ს შემდეგ კი კითხულობს მთელი კლასი ერთად. **III ფაზა** მასწავლებელი მოსწავლეებს ურიგებს წინასწარ მომზადებულ დავალების ბარათებს ,მათ უნდა ამოწერონ ი და ა ასო-ბგერა.დარიგების პროცესში მასწავლებელი თხოვს მოსწავლეებს დაასახელონ ი და ა ასო-ბგერებზე დაწყებული სიტყვები და ანდაზები. დავალების შესრულების შემდეგ მასწავლებელი მოსწავლეებს აძლევს წყვილებში

	სამუშაოს,მოსწავლეები აკავშირებენ საგნებს პირველ ასო-ბგერასთან და აკეთებენ პრეზენტაციას. მასწავლებელი აჯამებს გაკვეთილს,ურიგებს მოსწავლეებს სამახსოვრო ბარათებს.